სოფელ ქოთელიაში კეთილმოწყობილი სასტუმრო აშენდა

რუბენ გალსტიანი ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ქოთელიას მკვიდრია. მას ადგილობრივები კარგად იცნობენ, რადგან წლებია საკუთარი სახლის პირველ სართულზე სუპერმარკეტი აქვს გახსნილი, სადაც პროდუქტები და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთები იყიდება. სახლი ბაკურიანის სათხილამურო კურორტზე მიმავალი ცენტრალური გზის პირას მდებარეობს. ბოლო ორი წელია, ბატონმა რუბენმა შეამჩნია, რომ მაღაზიაში ტურისტების რიცხვი გაიზარდა და გადაწყვიტა, თავის მშენებარე სახლში სასტუმრო მოეწყო. სახლი კი იმ ეტაპზე გადახურულიც არ იყო და სარემონტო სამუშაოების დასრულებას საკმაოდ დიდი თანხა სჭირდებოდა.

ბიზნესმენმა ევროკავშირის მიერ ახალქალაქის განვითარებისათვის გამოცხადებული საგრანტო კონკურსის შესახებ ინტერნეტით შეიტყო, რის შემდეგაც LAG-ს მიმართა. ორგანიზაცია გვერდით დაუდგა რუბენ გალსტიანს, დაეხმარა საგრანტო წინადადების მომზადებასა და პრიორიტეტების სწორად განსაზღვრაში.

“ახლაც მახსოვს ის სახურული, როდესაც პროექტის გამარჯვების შესახებ გავიგე. წარმოუდგენელი იყო ევროკავშირის ფინანსური დახმარების გარეშე სასტუმროს მოწყობაზე მეფიქრა. ახლა კი, 7 ოთახიანი სასტუმრო მზადაა, ტურისტები მიიღოს”, - აცხადებს რუბენ გალსტიანი.



ყველა ოთახი აღჭურვილია ტელევიზორით, კონდიციონერით, კეთილმწყობილი სველი წერტილებით. ტურისტებისათვის შექმნილია მაქსიმალურად კომფორტული გარემო და როგორც ბატონი რუბენი ამბობს, მის სასტუმროში მოხვედრის შემდეგ, ყველას უკან დაბრუნება მოუნდება. ამის გაკეთებას კი სტუმართმოყვარეობით და მაღალი ხარისხის მომსახურებით გეგმავს. ბიზნესმენმა კარგად იცის, რომ სასტუმროს წარმატების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ფაქტორი გემრიელი სამზარეულოა.

“ჩვენ სტუმრებს მხოლოდ ნატურალური პროდუქტისაგან დამზადებულ ტრადიციულ და ევროპულ კერძებს შევთავაზებთ. ადგილობრივ მოსახლეობასთან უკვე მაქვს მოლაპარაკებები და ყოველდღე ახალ-ახალი პროდუქტებით მომარაგებენ. ეს კი ადგილობრივების შემოსავალსაც გაზრდის”, - ამბობს რუბენ გალსტიანი.

სასტუმროში 5 ადგილობრივი უკვე დასაქმებულია. სასტუმროს მეპატრონე იმედოვნებს, რომ პანდემიის შემდეგ გაცილებით მეტი სტუმარი ეყოლებათ და შესაბამისად ახალი სამუშაო ადგილებიც გაჩნდება.

“მე ყველა საქმეს პასუხისმგებლობით ვეკიდები. ბიზნესში ეს აუცილებელია. ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმს გავაკეთებ, რომ გავამართლო ევროკავშირის მოლოდინი და მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანო მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ განვითარებში. ასევე, ვერაფრით გავუცრუებ იმედებს LAG-ს და GIPA-ს. ეს ორგანიზაციები პროექტის დაწერის პირველი დღიდან გვერდზე მედგნენ და მათი დიდი წვლილია იმაში, რომ დიდი მოცულობის სამუშაოები უმოკლეს ვადებში განხორციელდა”, - აღნიშნა რუბენ გალსტიანმა. რუბენ გალსტიანი რომ მართლაც პასუხისმგებლიანი ბიზნესმენია, პანდემიის პერიოდშიც გამოჩნდა. მან პირველადი მოხმარების პროდუქტების პაკეტები სრულიად უსასყიდლოდ გადასცა გაჭირვებულ ოჯახებს.

ინიციატივა დაფინანსებულია ევროკავშირი საქართველოში სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD)-სოფლის განვითარების ახალი მიდგომის ხელშეწყობა ახალქალაქში პროექტის ფარგლებში.

პროექტს ახორციელებს საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის, სოფლის მეურნეობის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტი (DRDVE/GIPA). პროექტის პარტნიორები არიან მერსი ქორფსი, ELVA საზოგადებრივი ჩართულობა და დასავლეთ კორკის განვითარების პარტნიორობა.

ევროკავშირი მხარს უჭერს სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებას საქართველოში ENPARD-ის პროგრამის დახმარებით. პროგრამა ხორციელდება 2013 წლიდან საერთო ბიუჯეტით 179,5 მილიონი ევრო. ENPARD-ის ძირითადი მიზანი საქართველოში სოფლად სიღარიბის დაძლევაა. პროგრამის პირველი ფაზის პრიორიტეტი იყო სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, ხოლო მეორე და მესამე ფაზა მიზნად ისახავს სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების გაზრდას. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.enpard.ge.